

შეტყობინება მეშვიდე

სიღრმისეული ლვთაებრივი გამოცხადება
ღმერთის მოძრაობაზე ადამიანებთან და ადამიანებს შორის
ძველ აღთქმაში
და ღმერთის მოძრაობაზე ადამიანში
ახალ აღთქმაში
ღმერთის გულის სურვილის განხორციელებისათვის
და ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ღმერთის წინაშე

ადგილები წერილიდან: იობ. 10:13; 42:1-6; ეფეს. 3:9; იოანე 1:1, 14;
მათე 1:23; 2 კორ. 3:18; 4:16-17; რომ. 8:29-30;
კოლ. 1:12, 15:19; 3:4ა, 10-11; საქმე. 26:16-18; ეფეს. 3:16-19

- I. ღმერთის მოძრაობა ადამიანებთან და ადამიანებს შორის არის ძველ აღთქმაში; ღმერთის მოძრაობა ადამიანებთან და ადამიანებს შორის არ იყო უშუალო მოძრაობა მისი მარადიული სახლმშენებლობის განხორციელებისათვის ქრისტესა და ეპლესისათვის, არამედ ეს იყო ირიბი მოძრაობა მის ძველ ქმნილებაში მისი უშუალო მოძრაობის მომზადებისათვის მის ახალ ქმნილებაში მისი მარადიული სახლმშენებლობისათვის – 2 კორ. 5:17; გალ. 6:15:
- როგორც ადამიანს, რომელიც იყო შექმნილი ღმერთის მიერ ღმერთის სახებად, ადამიანს სჭირდებოდა, რომ მიეღო ღმერთი (რომლის სიმბოლოც არის სიცოცხლის ხე) როგორც თავისი სიცოცხლე, რათა მას ეცხოვრა, გამოეხატა, და წარმოედგინა ღმერთი; და ასეთი ადამიანი უნდა გარდასახულიყო ძვირფას მასალებად და აშენებულიყო როგორც წყვილი ღმერთისათვის – დაბ. 1:26-27; 2:9-12, 18-24.
 - როგორც ადამიანს, რომელიც დაეცა, ადამიანს უნდა მიეღო ქრისტე თავისი გამოსყიდვისათვის (რომლის წინასახეც არის მსხვერპლი მის დაღვრილ სისხლთან ერთად), რათა ის ყოფილიყო გამართლებული ღმერთის მიერ ქრისტეში (რომლის წინასახეც არის სამოსელი მსხვერპლის ტყავისაგან); დაცემულ ადამიანს ასევე უნდა მიეღო ქრისტე როგორც დედაკაცის თესლი, რათა მას თავი დაედწია სატანის „გველის“ სიკვდილის ძალისაგან – 3:8-9, 15, 21; ებრ. 2:14.
 - ღმერთმა მიაქცია ყურადღება ადამიანს და კმაყოფილი იყო ადამიანით სრულადდასაწველში; როგორც სინამდვილე სრულადდასაწველისა, ქრისტე ცხოვრობდა იმ სიცოცხლით, რომელიც იყო აბსოლუტურად ღმერთისათვის და ღმერთის დაკმაყოფილებისათვის როგორც დამაკმაყოფილებელი კეთილსურნელება ღმერთისათვის მისი სიხარულისა და დაკმაყოფილებისათვის – დაბ. 4:4; 8:20-22; ლევ. 1:9; ესაია 42:1; მათე 3:17; 17:5; 12:8; იოანე 5:30; 6:38; 7:18; 8:29; 14:24; შდრ. 2 კორ. 2:15; ქებ. ქ. 4:10-16.
 - ღმერთი დაპირდა აბრაამს, რომ მის თესლში (ქრისტეში) კურთხეული იქნებოდა დედამიწის ყველა ერი – დაბ. 22:18; გალ. 3:8, 14, 16-17.

- ქ. როგორც პიროვნებამ, რომელიც ამორჩეულია დმერთის მიერ, ადამიანმა უნდა მიიღოს დმერთის მოწოდება და უნდა უპასუხოს მას (დაბ. 12:1-4), რათა იცხოვროს დმერთის წინაშე ქრისტეს როგორც თავისი სრულადდასაწველის მეშვეობით (მუხ. 7; 13:18; 22:13), რომ იყოს მხილებული კანონით, და იცოდეს, რომ ის იყო ცოდვილი და არ შეეძლო კანონის დაცვა (გამ. 19:8, 21–20:21), და იცხოვროს დმერთოან ერთად, იმის მეშვეობით, რომ მიიღოს ქრისტე როგორც სავანე, მღვდელი და შესაწირავები, რათა შევიდეს დმერთში და დატკბეს ყველაფრით, რაც არის დმერთი, ქრისტესთან ერთად და ქრისტეში (გამ. 25 – ლევ. 27).
- გ. იობის მომთაბარე ცხოვრების წესის თანახმად (იობ. 1:3) და ის „თუ როგორ მიჰქონდა მას სრულადდასაწველი თავისი შვილებისათვის (მუხ. 5), შეიძლება ვიფიქროთ, რომ იობი და მისი მეგობრები, ალბათ, ცხოვრობდნენ აბრაამის საუკუნეში (დაბ. 22:13); იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი მოსეს ხუთ წიგნეული კანონთან ერთად.
1. ეჭვარეშეა, რომ იობმა და მისმა მეგობრებმა მიიღეს ზოგიერთი გამოცხადება თავიანთი წინაპრებისაგან სიტყვიერი ფორმით; მაგრამ იმას, რაც მათ მიიღეს თავიანთი წინაპრებისაგან, შესაძლოა, საუკეთესო შემთხვევაში, მიეღწია მხოლოდ გამოცხადების დონისათვის აბრაამის საუკუნეში.
 2. ამიტომ მათ კამათებში დმერთის ადამიანის მიმართ დამოკიდებულების შესახებ არ ყოფილა არავითარი მინიშნებაც კი, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ მათ მიიღეს ლვთაებრივი გამოცხადება, რომელიც ცდებოდა დმერთის სამსჯავროსა და იმას, რომ დმერთი აქცევს ყურადღებას ადამიანს მის სრულადდასაწველეში.
 3. იობსა და მის მეგობრებს არ უთქვამთ არც ერთი სიტყვა, რომელიც იგულისხმებდა რაიმეს ქრისტესა და დმერთის სულთან დაკავშირებით. ისინი იყვნენ ლვთაებრივი გამოცხადების პრიმიტიულ ეტაპზე.
 4. როდესაც გამოეცხადა იობს, დმერთმა თითქოს უთხრა მას: „იობ, სინამდვილეში შენ არ იცი, ვინ ვარ მე; შენ არ გესმის, რომ მე ვარ შეუზღუდავი; ასევე, შენ ვერ წარმოიდგენ, თუ რისი მოცემა მინდა მე შენოვის; იობ, მე ვანზრახული მაქვს, მოგცე შენ ჩემი თავი, გავხადო ჩემი თავი შენი ტკბობა, რათა შენ გახდე ჩემი ნაწილი; მე არა ვარ დაკმაყოფილებული იმით, რომ შენ გაქვს მხოლოდ შენი საკუთარი უბიწოება, სრულყოფილება და სიმართლე; მე მინდა, რომ შენ მფლობდე მე; მე ვანზრახული მაქვს, რომ ჩავნერგო ჩემი თავი შენში და მოგცე შენ არა რაღაც სხვა, არამედ ჩემი თავი“.
 5. ამგვარად, დმერთის მიერ ამორჩეულმა და მოწოდებულმა ადამიანებმა არ უნდა განავითარონ თავიანთ თავში ადამიანური სათხოებები, როგორიც არის სრულყოფილება, სიმართლე და უბიწოება, როგორც ამას აკეთებდა იობი, არამედ მათ უნდა ეძებონ დმერთი მსგავსად ირემისა და დატკბნენ დმერთით დმერთის ხალხთან ერთად დმერთის დღესასწაულებზე (ფსალ. 42:1-5; 43:3-5), რათა დმერთი იყოს მათთვის

ყველაფერი, შეცვალოს ყველაფერი, რასაც მათ მიაღწიეს და რაც მათ მოიპოვეს; სწორედ ასეთი უნდა იყოს პასუხი იობის სამი მეგობრისათვის და ელიტუსა და იობისთვისაც (იობ. 10:13; შდრ. ეფეს. 3:9).

6. იობის წიგნის ბოლოს ღმერთი მივიდა იობთან, მიუთითა მას, რომ ის, რაც იობს აკლდა თავის ადამიანურ ცხოვრებაში, იყო თვით ღმერთი; ამიტომ იობის წიგნს ფაქტიურად არა აქვს დასრულებული დასასრული, რომელიც უნდა ყოფილიყო ღმერთი მთლიანად მოპოვებული იობის მიერ ქრისტეში, რათა გაეხადა ის ერთი ღმერთთან, რათა ის დამტკბარიყო ღმერთით როგორც თავისი ხვედრით ქრისტეში; ასეთი გამოცხადება შეიძლება მთლიანად მოვალეობით მხოლოდ ახალ აღთქმაში – 40:10-14; 42:1-6; 10:13; შდრ. ეფეს. 3:9.

II. ღმერთის მოძრაობა ადამიანში არის ახალ აღთქმაში ადამიანის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის ღმერთის წინაშე; ღმერთის მოძრაობა ადამიანში გრძელდება ქრისტეს პირველი მოსვლიდან ახალი იერუსალიმის გამოჩენამდე ახალ ცასა და ახალ მიწაზე; ეს მოძრაობა არის უპრეცენდენტო ადამიანის ისტორიაში – იოანე 1:1, 14; ეფეს. 3:16-19; გამოცხ. 212, 9-10:

ა. როგორც ადამიანმა, რომელიც ამორჩეულია და მოწოდებულია ღმერთის მიერ, ადამიანმა უნდა ირწმუნოს იესო ქრისტეში, განკაცებულ ღმერთში, რომელიც ცხოვრობდა ადამიანური ცხოვრებით დედამიწაზე, მოკვდა, აღდგა და ამაღლდა მისთვის და მასთან ერთად და რომელიც გახდა მისთვის მაცოცხლებელი სული როგორც პნევმატური ქრისტე, რათა ის იყოს მისი გადარჩენა, სიცოცხლე და ყველაფერი მისთვის (ეს გახსნილია მათეს სახარებიდან დაწყებული რომელთა მიმართ წერილის ჩათვლით):

1. ღმერთი მოვიდა, რათა ყოფილიყო ჩასახული ადამიან ქალწულში და დაბადებულიყო მისგან, რომ ყოფილიყო ადამიანი, და ამის მეშვეობით მოეტანა დვთავებრიობა კაცობრიობაში და განეხორციელებინა შერწყმა ღმერთისა და ადამიანისა, გაეხადა ისინი ერთი მთლიანი, მაგრამ არა მესამე სუბსტანცია – ლევ. 2:4-5; იოანე 1:1, 14; მათე 1:20, 23; 1 ტიმ. 3:16,
2. იესო ცხოვრობდა სიცოცხლით, რომელშიც ის ყველაფერს აკეთებდა ღმერთში, ღმერთთან ერთად და ღმერთისათვის; ღმერთი იყო მის ცხოვრებაში, და ის იყო ერთი ღმერთთან; თავის ადამიანურ ცხოვრებაში მან დაადგინა ჩვენ წინაშე თავისი ტანჯვებით სავსე სიცოცხლე როგორც ნიმუში, რათა ჩვენ მოგვეხდინა მისი კოპირება, „გადაგვეტანა კალკით“ და გავყოლიყავით მის ნაფეხურებს; აქ საუბარია არა იმაზე, რომ ჩვენ უბრალოდ ვბაძავთ მას მის ცხოვრებაში, არამედ იმაზე, რომ ჩვენ კვლავწარმოვქმნით მას იმის შედეგად, რომ ვტკბებით მისით როგორც მადლით ჩვენს ტანჯვებში, ისე რომ თვითონ ის, როგორც ჩვენში დამკვიდრებული სული, თავისი სიცოცხლის მთელი სიმდიდრით, ხელახლა წარმოქმნის თავის თავს ჩვენში – ეფეს. 4:20-21; 1 პეტ. 2:21.
3. იესო ქრისტე როგორც განკაცებული სამერთიანი ღმერთი და როგორც განსხეულება სამერთიანი ღმერთისა (კოდ. 2:9) მოკვდა თავის ადამიანობაში შესანიშნავი და ყოვლისმომცველი სიკვდილით, მოუღო

- ბოლო ყოველგვარ უარყოფითს და გამოანთავისუფლა მასში მყოფი ღვთაებრივი სიცოცხლე ჩვენთვის (ლუკა 12:49-51; ოთანე 12:24).
4. მან გაიმარჯვა სიკვდილზე, შევიდა ყველაფრის წარმოქმნელ ადდგომაში, დაიბადა, რომ ყოფილიყო ღმერთის პირმშო ძე (მოიტანა ადამიანობა ღვთაებრიობაში) და გახდა მაცოცხლებელი სული ქრისტეს სხეულის წარმოქმნისა და შედგენისათვის – საქმე. 2:23-24, 32; 13:33; რომ. 1:3-4; 8:28-29; ოთანე 20:22; 1 კორ. 15:45; 12:13.
 5. მან ადასრულა ყველაფერზე ადმატებული ამაღლება ზეცაში და გახდა უფალი, ქრისტე, ბელადი და მხენელი (საქმე. 2:36; 5:31) თავისი კვლავწარმოქმნისათვის და უკლესიის როგორ თავისი სამეფოს აშენებისათვის (1:8; 26:16-18).
 6. თავის სიკვდილში, ადდგომასა და ამაღლებაში მან გახადა ყველა თავისი მორწმუნე ერთი თავის თავთან; ამგვარად, მისი სიკვდილი, ადდგომა და ამაღლება გახდა მათი სიკვდილი, ადდგომა და ამაღლება და მისი განცდები გახდა მათი ისტორია – რომ. 6:5-6; ეფეს. 2:5-6; ჰიბ. 687, რუს. მე-4 კუპ.
 - ბ. როგორც ქრისტეში მორწმუნე, ადამიანი უნდა გაიზარდოს ქრისტეს ღვთაებრივ სიცოცხლეში, რათა გარდაისახოს იმად, რაც არის ქრისტე, სიცოცხლის დამრიგებელი სულის მეშვეობით და წმიდანებთან ერთად ასაშენებლად იმ მიზნით, რომ იყოს ქრისტეს სხეული, ორგანიზმი სამერთიანი ღმერთის გამოხატულებისათვის ქრისტეში, და იყოს ახალი კაცი როგორც ღმერთის ახალი ქმნილება ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის აღსრულებისათვის ახალი იერუსალიმის დასრულებაში, როგორც გამზადებული სამერთიანი ღმერთის შერწყმისა განდიდებულ სამნაწილოვან ადამიანთან, რომელიც გახდება გამოვლინება ერთობლივი ღმერთკაცისა მარადისობაში (ეს გახსნილია კორინთელთა მიმართ პირველი წერილიდან გამოცხადების ჩათვლით):
 1. ღმერთმა გამოგვისყიდა ჩვენ ქრისტეში, გვაპატია ჩვენი ცოდვები, გაგებანა ჩვენ, გაგებამართლა ჩვენ და შეგვარიგა თავისთან; ღმერთმა მოგვათავსა ჩვენ ქრისტეში და გახადა ის ჩვენი სამართლიანობა, გაწმიდანება და გამოსყიდვა – ეფეს. 1:7; 1 კორ. 6:11; რომ. 3:22; 5:10; 1 კორ. 1:30.
 2. ღმერთმა ხელახლაგვშვა ჩვენ ქრისტეს ადდგომის მეშვეობით (1 პეტ. 1:3), და ახლა ის გვაახლებს ჩვენ, გარდაგვსახავს ჩვენ და გვამსგავსებს ჩვენ თავისი დიდების სახებასთან (ტიტ. 3:5; რომ. 12:2; ეფეს. 4:23; 2 კორ. 4:16; 3:18; რომ. 8:28-30; ფილიპ. 3:21).
 3. თავის განახლებასა და გარდასახვაში ღმერთი გვამსხვრევს ჩვენ, გვათავსებს ჩვენ ქრისტეს სიკვდილში ჩვენი ურთიერთობისათვის მის ტანჯვებში, რომელიც წარმოქმნის ჩვენთვის დიდების მარადიულ წონას, რათა ჩვენ განვიცადოთ ის მის ადდგომაში და მოვიპოვოთ ის მის აურაცხელ სიმდიდრეებში – 2 კორ. 4:16-18, 10; ფილიპ. 3:10, 8; ეფეს. 3:8.

4. ღმერთი მამა განსხეულებულია ღმერთ ძეში (კოლ. 2:9), ღმერთი ძე ხდება ნამდვილი ჩვენთვის როგორც ღმერთი სული, და ღმერთი სული მოდის, რათა მკვიდრობდეს ჩვენში, რათა იყოს სამერთიანი ღმერთის სინამდვილე (იოანე 14:16-20); მამა, უფალი და სული როგორც სამერთიანი ღმერთი გახდნენ სათავე, ელემენტი და არსი ეკლესიისა როგორც ქრისტეს სხეულისა (ეფეს. 4:4-6).
5. სამერთიანი ღმერთის როგორც მორწმუნებში სინამდვილის საიდუმლოსთან დაკავშირებით ქრისტეს პქონდა უამრავი რამ სათქმელი თავისი მოწაფეებისათვის, მაგრამ ეს მათთვის არ იყო ადვილი მისაღები, მანამ არ მოვიდა სინამდვილის სული, რათა გაეხსნა მათთვის ეს (იოანე 16:12-15); ეს გააკეთა სინამდვილის სულმა ძირითადად მოციქულებთან მიმართებით, რომელმაც დაასრულა ღმერთის სიტყვა, ანუ ღვთაებრივი გამოცხადება (კოლ. 1:25-27) ქრისტეზე როგორც ღმერთის საიდუმლოზე (2:2ბ) და ეკლესიაზე როგორც ქრისტეს საიდუმლოზე (ეფეს. 3:4).
6. ქრისტე როგორც ღვთაებრივი ხვედრი, მოცემული ღმერთის მიერ წმიდანებისათვის, და როგორც სიცოცხლე მორწმუნებში, გახდა ყველა ასო ახალი კაცისა და იმყოფება ყველა ასოში ახალი კაცისა, რომელიც არის მისი ორგანული სხეული; ღმერთს უნდა, რომ გახადოს ქრისტე, ღმერთის განსხეულება, ყველაფერი ჩვენთვის, ქრისტეს მორწმუნებისათვის – კოლ. 1:12, 15-19; 3:4ა, 10-11; 1 კორ. 12:12-13.
7. როგორც მაცოცხლებელი სული, ის მკვიდრობს ჩვენში, რათა გახადოს ჩვენთვის ნამდვილი თავისი თავი და ყველაფერი, რაც მან აღასრულა, მოიპოვა და რასაც მან მიაღწია, რისი წყალობითაც ჩვენ ვხდებით ერთი მასთან და გარდავისახებით იმავე სახებად, როგორც უფალი, დიდებიდან დიდებისკენ; როდესაც ვაბრუნებო ჩვენს გულს უფლისაკენ, ჩვენ შეგვიძლია ვუცქიროთ უფლის დიდებას, რათა ჩვენ თვითონ დავინახოთ უფალი, და ავირეკლოთ უფლის დიდება, რათა მივცეთ სხვებს შესაძლებლობა, რომ დაინახონ ის ჩვენი მეშვეობით – კორ. 3:16-18.
8. ღმერთი ქრისტეში განახორციელებს თავის გარდამსახველ სამუშაოს ჩვენში, სანამ მისი გარდასახვა არ მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში თავიდან გამარჯვებულებთან ათასწლოვან მეფობაში (გამოც. 2:7), ხოლო დასრულებისას – ყველა წმიდანთან ახალ ცასა და ახალ მიწაზე, ხდის თავის ყველა რჩეულსა და გამოსყიდულ ადამიანს თავის ერთობლივ გამოხატულებად, რომელიც გამოხატავს თვითონ მას, და არა მარტო რომელიმე ადამიანურ სათნოებას (იობის მსგავსად) ყველაზე სრული სახით მარადისობაში (21:1-22:5).